ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №65

აბაშა, 2023 წლის 5 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, შ.პ.ს. ,,შანი" აბაშის საოჯახო მედიცინის ცენტრზე გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ.'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის, 24 მუხლის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი'' შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. მიეცეს თანხმობა აბაშის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. ,,შანი" აბაშის საოჯახო მედიცინის ცენტრს (ს/კ:222432687), მისი დირექტორის ნანა შენგელიას სახით, აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. აბაშა, ჩიქოვანის ქ. №15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში პირველ სართულზე 289.36 კვ.მ. და მეორე სართულზე 370.7 კვ.მ საოფისე ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №40.01.34.1143).

2. პირველი სართულის უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო/საორიენტაციო საფასური შეადგენს 314 100 (სამასთოთხმეტიათასასი) ლარს. ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 6%-ით - 18846.00 (თვრამეტიათასრვაასორმოცდაექვსი) ლარით. მეორე სართულის უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო/საორიენტაციო საფასური შეადგენს 352 100 (სამასორმოცდათორმეტიათასასი) ლარს. ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 6%-ით - 21126.00 (ოცდაერთიათას ასოცდაექვსი) ლარი; სულ - 39972 (ოცდაცხრამეტიათას ცხრაასსამოცდათორმეტი) ლარი.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გელა ხოშტარია